

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია“**

**წ ე ს დ ე ბ ა
(ა ხ ა ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი თ)**

1. ზოგადი დებულებანი

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია“ (შემდგომში ფედერაცია) წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სარეგისტრაციო კოლეგიის 1991 წ. 3 ივნისის №13/16-ის, 1997 წ. 14 აგვისტოს № 22/22 და ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 2000 წ. 23 ოქტომბერს № 5/9-360 დადგენილებით რეგისტრირებული საქართველოს რესპუბლიკის ძიუდოს ეროვნული ფედერაციის უფლება-მოწოდებას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია“ (შემდგომში ფედერაცია) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილია პირთა ნებაყოფილობითი გაერთიანების საფუძველზე.

1.2. საზოგადოების სრული სახელწოდებაა:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია“;

1.3. ფედერაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, მოქმედი კანონმდებლობის, საკუთარი და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წესდების შესაბამისად. ფედერაცია ცნობს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თავის მოღვაწეობას ახორციელებს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

1.4. ფედერაცია რეგისტრაციის მომენტიდან იძენს იურიდიული პირის უფლებამოსილებებს, აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში, მრავალი ბეჭედი საკუთარი დასახელებით, შტამპი, სიმბოლო, ბლანკები, პირადობის მოწმობები, საკუთარი ლოგო, და რეგისტრირდება საკუთარი წესით. ლოგო გამოიყენება ფედერაციის ეგიდით გამოშვებულ ნებისმიერ ატრიბუტიკაზე აღმასკომის (იგივე დამსრულებელი ორგანოს გამგეობის) – შემდგომ ტექსტში აღმასკომის (იგივე დამსრულებელი ორგანოს) ნებართვით.

1.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია“ არის საქართველოში ძიუდოს (ჭიდაობის) ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანიზაცია. ფედერაციის უფლება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ფედერაციის წინამდებარე წესდება და მის მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ფედერაციის ყველა წევრისათვის.

ფედერაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, შეუძლია იყოს მსგავსი საერთაშორისო სტრუქტურების ნამდვილი ან ასოცირებული წევრი, ფედერაციას შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნას რეგიონული ფილიალები და წარმომადგენლობები, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. თანამშრომლობს სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

1.6. ფედერაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.7. ფედერაციის ადგილსამყოფელია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ა. ბელიაშვილის ქუჩა №5.

2. ფედერაციის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

ფედერაციის საქმიანობის მიზანია:

- ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღი წესის რეალურად დამკვიდრება, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმა სპორტულ მოძრაობაში;
- ფედერაციაში გაერთიანებული ძიუდოს პრობლემებზე მომუშავე კერძო და იურიდიული და ფიზიკური პირების შესაძლებლობების კონცენტრაცია საქართველოში;
- მოსახლეობას შორის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის როლის ამაღლება;
- საქართველოში ძიუდოს შემდგომი განვითარება;
- ძიუდოს განვითარების კონცეფციის, მრავალწლიანი და მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

- ძიუდოს დაფინანსების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;
- რეგიონულ და ადგილობრივ (რაიონულ) დონეზე ფედერაციის ფილიალების (წარმომადგენლობები) შექმნა და მათი მეშვეობით ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისათვის ხელშეწყობა;
- ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში საქართველოს ნაკრები გუნდების წარმატებით გამოსვლის უზრუნველყოფა;
- საქართველოში სპორტული შეჯიბრებების ჩატარების სისტემის სრულყოფა, ჩემპიონატების, ასაკობრივი პირველობების, ტურნირების ჩატარება;
- სახელმწიფოსთან და სხვა ორგანიზაციებთან ფედერაციის წევრი კლუბების, გაერთიანებების, მათი წევრების ინტერესების დაცვა;
- ფედერაციის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.
- მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება, ამ მიზნით სემინარების, კონფერენციების, ღია გაკვეთილების და ა.შ. ჩატარება;
- ძიუდოს ჭიდაობის სპეციალისტების, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენების, მწვრთნელების და მსაჯების სოციალური ინტერესებისათვის ზრუნვა;
- ძიუდოს წარმოდგენა საქართველოში და უცხოეთში, ასევე თავისი ინტერესების განხორციელება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წინაშე.

2.2. საწესდებო მიზნების მისაღწევად, ფედერაცია:

- შეიმუშავებს და ახორციელებს ძიუდოს განვითარების პროგრამებს, ქმნის ვაჯთა და ქალთა ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებს გუნდებს, უზრუნველყოფს მათ მომზადებას და მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში;
- ორგანიზებას უწევს საქართველოში ადგილობრივი და საერთაშორისო ჩემპიონატების და ტურნირების გამართვას; უცხოელ სპორტსმენთა და წარმომადგენელთა ტურიზმით მომსახურებას.
- შეიმუშავებს და ამტკიცებს შეჯიბრებების წესებს, დებულებებს და კალენდარს, წვევებს ასპარეზობაზე სპორტსმენთა დაშვების საკითხს, აპელაციებსა და პროექტებს;
- წარმოადგენს ფედერაციის ინტერესებს სხვადასხვა ორგანიზაციებში;
- შეიმუშავებს და ახორციელებს ძიუდოს განვითარების გრძელ და მოკლევადიან კონცეფციებსა და პროგრამებს;
- სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშავებს ფედერაციის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას და განახორციელებს მას;
- შესაძლებლობების ფარგლებში ფინანსურ და ორგანიზაციულ დახმარებას უწევს თავის ფილიალებს (წარმომადგენლობებს);
- ეწევა ქველმოქმედებას;
- უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით ჰქონდეს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო და გამოსცეს ჟურნალ-გაზეთები, სასწავლო-მეთოდური, საცნობარო-საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურა;
- ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და სხვა საქმიანი ურთიერთობის მიზნით ამყარებს კავშირებს მსგავსი ტიპის არასამეწარმეო ორგანიზაციებთან საქართველოში და საზღვარგარეთ;
- უფლება აქვს განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის კომერციული და სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ემსახურება ფედერაციის საერთო მიზანს და არ ცვლის ფედერაციის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს, მაგრამ ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობაზე არსებითად გადასვლა;
- სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ შეიძლება განაწილებულ იქნეს ფედერაციის წევრებს ან შემომწირველებს შორის. იგი უნდა მოხმარდეს ფედერაციის მიზნების განხორციელებას.

3. ფედერაციის წევრობა

3.1. ფედერაციის წევრები შეიძლება იყვნენ შესაბამის სფეროში მოღვაწე იურიდიული და ფიზიკური პირები, ასევე ის ფიზიკური პირები, ვისაც აქვს ღიდი სპორტული მიღწევები და განსაკუთრებული დამსახურება ქვეყანაში ძიუდოს განვითარების საქმეში.

3.2. ფედერაციის წევრად მიღება ხდება წევრობის მსურველთა წერილობითი განცხადების საფუძველზე, აღმასკომის (აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) გადაწყვეტილებით.

განმცხადებელი უნდა იყოს იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი, რომელიც აღიარებს ფედერაციის წესდებას, ვალდებულებას იღებს დაიცვას და დაემორჩილოს მას, მონაწილეობა მიიღოს საწევრო ამოცანების განხორციელებაში, გადაიხადოს საწევრო შესატანი. ფიზიკური პირებისათვის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ფედერაციის წევრის რეკომენდაცია. წევრობის საკითხი განიხილება აღმასკომის (აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) მიერ განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

3.3. ფედერაციის წევრებად რეკომენდაციის გარეშე, წერილობითი განცხადების საფუძველზე, მიიღებიან ის ფიზიკური პირები, ვისაც აქვს დიდი სპორტული მიღწევები (ოლიმპიური თამაშების მონაწილეები, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონების პრიზიორები) და განსაკუთრებული დამსახურება (საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების დამსახურებული მწვრთნელები და მუშაკები) ჩემპიონის ტიტულის განვითარების საქმეში.

3.4. ფედერაციის წევრს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის პროგრამებსა და პროექტებში თავისი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად;
- მონაწილეობდეს ფედერაციის უმაღლესი მმართველი ორგანოს – ფედერაციის საერთო კრების მუშაობაში;
- ისარგებლოს ფედერაციის მიერ დაფინანსებული პროგრამა-პროექტის ფარგლებში მოქმედი დაწესებულებების მომსახურებით;
- ისარგებლოს ფედერაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, ისარგებლოს ფედერაციის ემბლემით, თუ ეს არ ავნებს ფედერაციის ინტერესებს;
- წერილობითი განცხადების საფუძველზე გავიდეს ფედერაციის წევრობიდან ნებისმიერ დროს (საწევრო შესატანის უკან დაუბრუნებლად);
- მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია ფედერაციის საქმიანობის შესახებ, არჩეულ იქნას და აირჩიოს ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების წევრები;
- თავისი შესაძლებლობის მიხედვით, მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის აღმასკომის (აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) მუშაობაში და შეასრულოს ფედერაციის აღმასკომის (იგივე - გამგეობის) დავალებები;
- მიიღოს ფედერაციაში არსებული საჯარო ინფორმაცია და ასევე – ინფორმაცია ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებისაგან მათი საქმიანობის შესახებ.

3.5. ფედერაციის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას ფედერაციის წესდება, პროპაგანდა გაუწიოს ფედერაციის მიზნებს, აქტიურად შეუწყოს ხელი ფედერაციის წინაშე მდგომი ამოცანების, ფედერაციის სამოქმედო პრინციპების განხორციელებას;
- დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანოს გამგეობის) მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;
- დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომლის გაუმჟღავნებლობის ვალდებულებაც აკისრია ფედერაციის წევრს;
- გაუფრთხილდეს ფედერაციის ქონებას;
- შეასრულოს ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი;
- ფედერაციის შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში დაფაროს მასზე რიცხული ფინანსური და მატერიალური დავალიანებები.

3.6. ფედერაციის წევრს ეკრძალება იმოქმედოს ფედერაციის სახელით, მასზე მინიჭებული შესაბამისი რწმუნების გარეშე.

3.7. ფედერაციის წევრები, აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) მიერ დადგენილი ოდენობით იხდიან საწევრო შესატანს კვარტალში ერთხელ (არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა), რისთვისაც წევრ ორგანიზაციებში გამოყოფილი იქნებიან ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებიც აკრეფენ საწევროს და (ხოლო წევრი ფიზიკური პირები პირადად) შეიტანენ სათანადო ანგარიშზე ან საღარიშში. საწევრო შესატანის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ფედერაციის აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო - გამგეობის) მიერ.

3.8. წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს და არც მემკვიდრეობით გადადის.

3.9. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას, ფედერაციის აღმასკომს შეუძლია წევრს შეუჩეროს ფედერაციის წევრობა ან გარიცხოს ფედერაციიდან. წევრობის შეჩერების ან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3.10. ფედერაციის წევრობის შეწყვეტა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- თუ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება ფედერაციის წესდების მიზანსა და ინტერესებს.
- საწევრო შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში 6 თვის განმავლობაში;

- თუ წევრი უხეშად არღვევს წესდებით დაკისრებულ მოვალეობებს;
 - წევრის გარდაცვალების შემთხვევაში; (იურიდიული პირის შემთხვევაში – ლიკვიდაციისას).
- 3.11. ფედერაციის დამფუძნებლები და შემდგომში მიღებული წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და მოვალეობებით.

4. ფედერაციის დამფუძნებლები

4.1. ფედერაციის დამფუძნებლები იგივე:

1. ფირუზ მარტყოფლიშვილი /დაბ. 14.09.1937 წ., სიღნაღში, მცხ. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ. 26, ბინა 132, მოწმე № 0030248 პნ 01026000965, გაც. 18.05.1995 წ., თბილისის საბურთალოს რ-ის შს II ქ-ის მიერ/.
2. შოთა ხაბარელი /დაბ. 26.12.1956 წ., ქარელში, მცხ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. № 75-ბ, ბინა 4, მოწმე ა 1132800 პნ 01008007860, გაც. 21.01.2008 წ., სრს ვაკის სამსახურის მიერ/.
3. ოთარ ნათელაშვილი /დაბ. 29.05.1944 წ., დუშეთში, მცხ. თბილისი, კანდელაკის 8-ა, ბინა 2, მოწმე ბ 0055423 პნ 01024003583, გაც. 16.05.1995 წ., თბილისის საბურთალოს რ-ის შს გ-ის მიერ/.
4. თამაზ ჩხარტიშვილი /დაბ. 25.10.1955 წ., თბილისში, მცხ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. № 75/8, ბინა 40, მოწმე გ 0169541 პნ 01008013325, გაც. 06.05.1997 წ., თბილისის ვაკის რ-ის შსს მიერ/.
5. ბიძინა მაზიაშვილი /დაბ. 09.05.1928 წ./ (გარდაცვლილი) გარდაცვალების მოწმობა აღ № 112670, გაც. 17.11.2004 წ. თბილისის გარდაცვლილთა რეგისტრაციის სარაიონთაშორისო მმართველის მიერ, პნ 01024003706, გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი 2004 წლის 17 ნოემბერი, სააქტო ჩანაწერის № 0112762.

5. ფედერაციის ორგანიზაციული სტრუქტურა

- 5.1. ფედერაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა ყრილობა – იგივე უმაღლესი მმართველობითი ორგანო ფედერაციის წევრთა კრება.
- 5.2. ფედერაციის აღმასკომი (იგივე აღმასრულებელი ორგანო - გამგეობა)
- 5.3. ფედერაციის კომისიები;

6. ყრილობა (იგივე უმაღლესი მმართველობითი ორგანო ფედერაციის წევრთა კრება)

- 6.1. ფედერაციის მმართველობის უმაღლესი ორგანოა ფედერაციის ყრილობა (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრება), რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა;
- 6.2. ფედერაციის ყრილობას (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრებას), იწვევს აღმასკომი (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა) არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ან როდესაც ამას ფედერაციის ინტერესები მოითხოვს. წევრთა 1/10-ის ან აღმასკომის (იგივე გამგეობა) უმრავლესობის მოთხოვნით, შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე ყრილობის (წევრთა კრების), ფედერაციის მისამართზე, თუ მომწვევის მიერ სხვა ადგილი არ იქნა განსაზღვრული;
- 6.3. ფედერაციის ყრილობის იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების მოწვევის შესახებ ფედერაციის წევრები გაფრთხილებულ უნდა იქნან წერილობით ან ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნების გზით, ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) მოწვევამდე ერთი თვით ადრე, დღის წესრიგის მითითებით. შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ასევე ფაქსით ან ელ-ფოსტით.
- 6.4. ფედერაციის ყრილობას (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრებას) წარმართავს ფედერაციის პრეზიდენტი, ხოლო მის მიერ ამ უფლების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფედერაციის ყრილობას (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრებას) წარმართავს პირველი ვიცე-პრეზიდენტი ან ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.
- 6.5. ფედერაციის ყრილობა (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრება) გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო სიითი შემადგენლობის 50% + 1 წევრი მაინც. დასაშვებია ფედერაციის წევრის მიერ ფედერაციის ყრილობაში (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრებაში) წერილობით მონაწილეობა;
- 6.6. იმ შემთხვევაში თუ ფედერაციის ყრილობა (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრება) აღმოჩნდება გადაწყვეტილებაუუნარო, იგი მოიწვევა განმეორებით შვიდი დღის შემდეგ იმავე წესითა და დღის წესრიგით და აღნიშვნით, რომ კრება განმეორებითია.

განმეორებით მოწვეული ყრილობა (იგივე წევრთა კრება) გადაწყვეტილება უნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება წევრთა უმრავლესობა;

6.7. ფედერაციის ყველა წევრს კენჭისყრისას აქვს თითო ხმა. დასაშვებია ხმის უფლების გადაცემა სხვა წევრისათვის წერილობითი მინდობილობის საფუძველზე;

6.8. ფედერაციის ყრილობა (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრება) გადაწყვეტილებებს იღებს ფარული ან ღია კენჭისყრით. კენჭისყრის სახეობას განსაზღვრავს თვით ფედერაციის ყრილობა (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრება).

6.9. გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების თაობაზე მიიღება დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით. ფედერაციის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა 4/5-ს.

6.10. ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) გადაწყვეტილება ნამდვილია მაშინ, თუ ის საკითხი, რაზედაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შეტანილი იყო ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) მოწვევის დროისთვის განსაზღვრულ დღის წესრიგში.

6.11. ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) ჩატარების დროს დგება ოქმი, რომელშიც მიეთითება ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) ჩატარების ადგილი, დრო, დამსწრეთა რაოდენობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

6.12. ფედერაციის ყრილობა (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრება) გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

- ფედერაციის აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) არჩევა;
- მრჩეველთა საბჭოს წევრების არჩევა;
- წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
- ფედერაციის მიზნის შეცვლა;
- ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა;
- ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის არჩევა;
- ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით ვიცე-პრეზიდენტების (არაუმეტეს ოთხისა) არჩევა.

ამასთან პირველი ვიცე-პრეზიდენტად და ვიცე პრეზიდენტად არჩეული უნდა იქნას ფედერაციის წევრი.

- ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის არჩევა;
- ფედერაციის გენერალური მდივნის არჩევა;
- ფედერაციის ამოცანების გაფართოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;

▪ ღაამტიცოს ფედერაციის წლიური ბიუჯეტი, აღმასკომის ანგარიში, დაფინანსების პრინციპები, პრიორიტეტები, განიხილოს წლის სპორტული, ფინანსური შედეგები, მოისმინოს კომისიების ანგარიშები;

- გადაწყვიტოს ფედერაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი.
- გადაწყვიტოს ფედერაციის მუშაობასთან დაკავშირებული სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

6.13. ყრილობას (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრებას) შეუძლია ფედერაციის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისა და სხვა მიზნით შექმნას კოორდინატორები, რომელთაც კრებებს შორის პერიოდში შეიძლება გადაეცეს კრების ფუნქციები;

6.14. კომისიებში შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფედერაციის წევრები;

6.15. ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) გადაწყვეტილებით, აღმასკომთან (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობასთან) შეიძლება შეიქმნას სათათბირო ორგანო – მრჩეველთა საბჭო;

6.16. მრჩეველთა საბჭოში შედიან ღვაწლმოსილი და პროფესიონალი სპეციალისტები, რომლებიც კონსულტაციებს უწევენ ფედერაციის ხელმძღვანელობას თავიანთი კონკრეტული კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისად, ასევე ფედერაციის, ნაკრებების ან კლუბების სპონსორები.

6.17. ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) გადაწყვეტილებით იქმნება შემდეგი კომისიები:

- სპორტი ყველასათვის;
- საორგანიზაციო-მეთოდური;
- დისციპლინარული-სააპელაციო;
- საშეჯიბრო;

- სამსაჯო;
- საერთაშორისო ურთიერთობების;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების;
- სპორტსმენთა;
- მწვრთნელთა;
- ვეტერანთა;
- სამეცნიერო და სამედიცინო;
- კომერციული და მარკეტინგული.

6.18. კომისიების შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს აღმასკომი 4 წლის ვადით.

6.19. კომისიების საქმიანობის წესს და მიმართულებებს განსაზღვრავს ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) მიერ დამტკიცებული დებულება.

6.20. კომისია შეიმუშავებს წინადადებებს კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად და წარუდგენს ფედერაციის შესაბამის ორგანოებს.

7. ფედერაციის აღმასკომი (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა)

7.1. წევრთა კრებებს შორის ფედერაციის საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს ფედერაციის აღმასკომი (იგივე ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა).

7.2. აღმასკომის (იგივე ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა) რაოდენობა განისაზღვრება ფედერაციის ყრილობის (წევრთა კრების) მიერ 15 წევრის შემადგენლობით.

7.3. აღმასკომის (იგივე ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა) შემადგენლობაში შედიან ფედერაციის პრეზიდენტი, ოთხი ვიცე პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, ასევე ყრილობის მიერ არჩეული სხვა წევრები.

7.4. აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) წევრი არ შეიძლება იყოს ძიუდოში რომელიმე ნაკრების მწვრთნელი ან თანაშემწე.

7.5. ფედერაციის აღმასკომი (იგივე ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა) ირჩევა 4 (ოთხი) წლით.

7.6. ფედერაციის აღმასკომის (იგივე ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) სხდომა მოიწვევა პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის მიერ საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არაუგვიანეს კვარტალში ერთხელ.

7.7. აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ აღმასკომის (იგივე გამგეობის) წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარებამდე 3 (სამი) დღით ადრე მაინც.

7.8. აღმასკომი (იგივე გამგეობა) გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ აღმასკომის (აღმასრულებელი ორგანოს იგივე გამგეობის) წევრი ვერ ესწრება სხდომას, მან შეიძლება წერილობით გამოხატოს თავისი პოზიცია გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით.

7.9. აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) სხდომას წარმართავს ფედერაციის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ვიცე-პრეზიდენტი.

7.10. გადაწყვეტილებების მიღებისას აღმასკომის (აღმასრულებელი ორგანოს იგივე გამგეობის) თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ფედერაციის პრეზიდენტის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სხდომის წამყვანი ვიცე-პრეზიდენტის, მისი არ ყოფნის შემთხვევაში უხუცესი (წლოვანებით უფროსი) ვიცე-პრეზიდენტის ხმა.

7.11. აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) წევრები საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად შეიძლება მუშაობდნენ სხვა სამუშაოზე შეთავსებითა და ფედერაციის აღმასკომში (იგივე გამგეობაში) მუშაობისათვის აღმასკომის (იგივე გამგეობის) გადაწყვეტილებით შესაძლებლობის ფარგლებში შეიძლება დაენიშნოთ სათანადო ანაზღაურება.

7.12. აღმასკომი (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა) ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს ფედერაციის ქონებას, იგი ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში ფედერაციის ყრილობას (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრებას) ფედერაციის ქონების მდგომარეობის თაობაზე.

7.13. აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) სხდომის დროს დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება სხდომის ადგილი, დრო, მონაწილეთა რაოდენობა, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს ფედერაციის პრეზიდენტი და კრების მდივანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში ოქმს ხელს აწერს სხდომის წამყვანი ვიცე-პრეზიდენტი და კრების მდივანი.

1. გიორგი ალექსიძე
2. შოთა ხაბარელი
3. სოსო ლიპარტელიანი
4. თამაზ ნავერიანი
5. დავით ხახალეიშვილი
6. ელადიმერ ნუცუბიძე
7. დავით ნამგალაური
8. დავით გობეჯიშვილი
9. გიორგი ასანიძე
10. მერაბ ჩიქობავა
11. თამაზ ცოფურაშვილი
12. გიორგი უდესიანი
13. ელდერ ვარშალომიძე
14. გივი ონაშვილი
15. გურამ პაპიტაშვილი

8. ფედერაციის აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) კომპეტენცია

8.1. აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) კომპეტენციაში შედის:

- ა) გადაწყვეტილებების მიღება ფედერაციის საქმიანობის პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც არ შედის ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) კომპეტენციაში;
- ბ) ფედერაციის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო) წევრთა კრებებს შორის პერიოდში ფედერაციის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;
- გ) ფედერაციის საპატიო წევრად არჩევა;
- დ) ფედერაციის შინაგანაწესისა და დებულებების დამტკიცება;
- ე) აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) წევრთა ფუნქციების განსაზღვრა;
- ვ) სტიპენდიებისა და პრემიების დანიშვნა და მათი ოდენობის განსაზღვრა;
- ზ) ფედერაციის მედია - ორგანოების რედაქტორის დანიშვნა;
- თ) ფედერაციის სხვა საქმიანობის წარმართვა მოქმედი კანონმდებლობით;
- ი) ფედერაციის კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების არჩევა (გადარჩევა);
- კ) ფედერაციის წევრები მიღება და დამტკიცება;
- ლ) საწარმოების და დაწესებულებების დაფუძნება, სხვა საწარმოებში წილობრივი მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტა; დაფუძნებული საწარმოებისა და დაწესებულებების წესების (დებულებები) დაამტკიცება; საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების დანიშვნა - განთავისუფლება;
- მ) წესდების შესაბამისად ხელმძღვანელობის უფლებამოსილების განსაზღვრა;
- ნ) ფედერაციის ქონების მართვა და განკარგვა;
- ო) ფედერაციის ბიუჯეტის ფარგლებში, ფედერაციის თანამდებობის პირთა და მომსახურე პერსონალის საშტატო ერთეულების და ხელფასის ფონდის დამტკიცება;
- პ) ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე, ძიუდოს საქართველოს ვაჟთა და ქალთა ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელების დამტკიცება;
- ჟ) ძიუდოს საქართველოს ვაჟთა და ქალთა ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელთა წარდგინებით, უფროს მწვრთნელთა თანაშემწეების დამტკიცება;
- რ) ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მსაჯთა (დანები) წოდებებისა და კატეგორიების მინიჭება;
- ს) მწვრთნელთა საბჭოს რაოდენობისა და წევრების დამტკიცება;
- ტ) ფედერაციის პრეზიდენტისათვის ძიუდოს საქართველოს ვაჟთა და ქალთა ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელთან და თანაშემწეებთან შრომითი კონტრაქტების შემუშავება და ხელმოსაწერად წარდგენა;
- უ) საწევრო შესატანის განსაზღვრა;
- ფ) მწვრთნელთა, სპორტსმენთა და მსაჯთა მიმართ დისციპლინარული სასჯელების განხილვა.

შენიშვნა:

8.2. ფედერაციის აღმასკომს (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობას) შეუძლია გაანთავისუფლოს აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) ან სხვა ორგანოს წევრი მოვალეობის სერიოზული დარღვევის ან შეუფერებელი საქციელის გამო;

8.3. აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) წევრს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა, თუ მის მიერ მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო ზიანი მიადგა ფედერაციას ან მესამე პირს.

9. ფედერაციის პრეზიდენტი

9.1. ფედერაციის პრეზიდენტი:

- წარმოადგენს ფედერაციის ხელმძღვანელ პირს;
- ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას ქვეყანაში ძიუდოსა და ფედერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის;
- ხელმძღვანელობს ფედერაციის ყრილობას (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) და აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) სხდომებს;
- ხელს აწერს ფედერაციის სახელით დადებულ ყველა ხელშეკრულებებს, გარიგებებს.
- ნიშნავს და ათავისუფლებს ძიუდოს საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს და მათ თანაშემწეებს, ასევე ქალთა მთავარ მწვრთნელს და მის თანაშემწეებს;
- ხელს უწყობს საქართველოში ძიუდოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.
- ხელმძღვანელობს ფედერაციის მიმდინარე საქმიანობას;
- დებს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და სხვა სამართლებრივ გარიგებებს;
- წარმართავს ფედერაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- ხელს აწერს ფედერაციის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტებს;
- ახორციელებს ფედერაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების ოპერატიულ მართვის ზედამხედველობას და პასუხისმგებელია მათ მიზნობრივ გამოყენებაზე.
- პასუხისმგებელია ფედერაციის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ამტკიცებს მწვრთნელთა, სპორტსმენთა და მსაჯთა მიმართ აღმასკომის მიერ წარდგენილ დისციპლინარულ სასჯელებს;

- ფედერაციის ფინანსურ საქმიანობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, მას აქვს უფლება, ეს უფლება მიანიჭოს ვიცე-პრეზიდენტებს ან გენერალურ მდივანს.

9.2. ფედერაციის პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ ფედერაციის წევრებს, რომლებმაც წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინონ ფედერაციის აღმასკომს (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) არჩევნებამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების წესს ადგენს აღმასკომი (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა).

9.3. ფედერაციის პრეზიდენტი აირჩევა ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) მიერ 4 (ოთხი) წლის ვადით.

10. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები

10.1. ვიცე-პრეზიდენტები ხელმძღვანელობენ და პასუხისმგებელი არიან ძიუდოს სხვადასხვა მიმართულებების განვითარებაზე. პრეზიდენტის არყოფნისას ან ფუნქციების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც განსაზღვრავს ფედერაციის პრეზიდენტი. ვიცე-პრეზიდენტი ვალდებულია ფედერაციის საქმეებს წარუდგევს კეთილსინდისიერად. იმ შემთხვევაში თუ ის არ შეასრულებს თავის მოვალეობებს, ფედერაციის წინაშე პასუხს აგებს წარმოშობილი ზიანისთვის.

10.2. ვიცე-პრეზიდენტები ფედერაციის პრეზიდენტის შიდა ბრძანების საფუძველზე შეისწავლიან და ხელმძღვანელობენ რეგიონებში ძიუდოს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და საერთო განვითარებას;

10.3. ვიცე-პრეზიდენტები ანგარიშვალდებული არიან ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) და აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) წინაშე. ისინი წელიწადში ერთხელ ფედერაციის ყრილობას (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების), ხოლო 3 თვეში ერთხელ აღმასკომს (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობას) წარუდგენენ ანგარიშს ფედერაციის საქმიანობასა და მიმდინარე პროექტების შესახებ.

10.4. ვიცე-პრეზიდენტების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მათ მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებების გადაშეცემის ან ფედერაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ საგანგებო წევრთა კრებას.

11. გენერალური მდივანი

11.1. ფედერაციის გენერალური მდივანი აირჩევა ყრილობის მიერ აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) უფლებამოსილების ვადით 4 (ოთხი) წლით.

11.2. ფედერაციის გენერალური მდივანი:

- ამზადებს ჩასატარებლად ფედერაციის ყრილობის (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრების) და აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) სხდომებს.
- წარუდგენს დასამტკიცებლად ფედერაციის პრეზიდენტს ღონისძიებათა კალენდარს, შეჯიბრის დებულებებს;
- აწარმოებს ფედერაციის ყრილობისა (იგივე უმაღლესი მმართველი ორგანო – ფედერაციის წევრთა კრებისა) და აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) სხდომების ანგარიშებს;
- ამყარებს კავშირს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნის ანალოგიურ ფედერაციებთან და აწარმოებს მათთან მიმოწერას.
- აწარმოებს ახალი პროგრამებისა და პროექტების დანერგვასა და განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს ძიუდოს განვითარებას;
- შეიმუშავებს ახალ პროგრამებს მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- ზედამხედველობს ფედერაციაში მიმდინარე საქმის წარმოებას;

12. სპორტული დირექტორი

12.1. კოორდინაციას უწევს კომისიების საქმიანობას;

12.2. ხელმძღვანელობს მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობას;

12.3. კოორდინაციას უწევს ძიუდოს საწვრთნელ ბაზებზე მიმდინარე საქმიანობას;

12.4. ახორციელებს კონტროლს ფედერაციის ემბლემის გამოყენებაზე ფედერაციის აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა) დავალებით;

13. აღმასრულებელი დირექტორი

13.1. პასუხისმგებელია ყველა ჩემპიონატისა და ტურნირების მოსამზადებელ საწვრთნელ შეკრებებზე, სასტუმროს დარბაზების, სპორტსმენთა კვების მაღალ დონეზე ორგანიზებაზე, ღონისძიებების გახსნა-დახურვაზე, მედლების, პრიზებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შეძენაზე.

13.2. ახდენს ფინანსური სახსრების და სპონსორების მოზიდვას;

13.3. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან ერთად ახორციელებს საქართველოს მასშტაბით ადგილობრივი და საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზებას.

14. ძიუდოს რეგიონული ფედერაციები

14.1. საქართველოს რეგიონებში შეიძლება შეიქმნას ძიუდოს რეგიონული ფედერაციები, რომელთა აღიარებაც უნდა მოხდეს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასკომის მიერ. რეგიონალური ფედერაცია ხელმძღვანელობს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის წესდების შესაბამისად. ამასთან თითოეულ რეგიონში აღიარებული უნდა იქნას ძიუდოს მხოლოდ ერთი რეგიონული ფედერაცია.

14.2. რეგიონში ფედერაციის ეგიდით ძიუდოს შეჯიბრებების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ იმ აღიარებულ რეგიონულ ფედერაციას.

14.3. ფედერაციის ყრილობის მუშაობაში ძიუდოს რეგიონული ფედერაციები მონაწილეობენ ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასკომის მიერ განსაზღვრული რაოდენობრივი კვოტის შესაბამისად წარგზავნილი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლობითი უფლებების მქონე პირის მეშვეობით. რეგიონული ფედერაცია ყრილობაზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს აგრეთვე ამ წესდებით დადგენილი წესით არჩეული წევრებით.

14.4. რეგიონული ფედერაცია შეიძლება დაფუძნდეს იურიდიული პირის სტატუსის გარეშე, ჰქონდეს ბეჭედი და გახსნას ანგარიში ბანკში.

15. ფედერაციის ატრიბუტები

15.1. ფედერაციას გააჩნია საკუთარი ემბლემა, რომელსაც ამტკიცებს აღმასკომი და რეგისტრირდება დადგენილი წესით.

15.2. ემბლემა შეიძლება გამოყენებული იქნას სამკერდე ნიშნების, სამახსოვრო ვიშკალების, სუვენირების, პლაკატებისა და სხვა ნივთების დასამზადებლად.

15.3. ფედერაციის ემბლემის გამოყენებაზე კონტროლს აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა) დაავალბით ახორციელებს ფედერაციის სპორტული დირექტორი;

16. ფედერაციის ქონება

16.1. ფედერაციის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, შემოწირულობების, სპონსორ-დონორი ორგანიზაციების, გრანტებისა და სხვა კანონიერი საშუალებების ხარჯზე. საკუთართან ერთად ფედერაციას შეუძლია მფლობელობაში გააჩნდეს იჯარით აღებული შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ორგტექნიკა, ინვენტარი და სხვა ქონება, რომლებიც აუცილებელია კავშირის საწესდებო მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად.

16.2. ფედერაციის ფინანსური სახსრების წყაროს განეკუთვნება:

- სახელმწიფო დოტაციით (მიზნობრივი პროგრამები) გამოყოფილი თანხები;
- საბიუჯეტო ასიგნებანი;
- სესხები და კრედიტები;
- სპორტული ღონისძიებებიდან, მათი ტრანსლაციიდან, რეკლამიდან მიღებული შემოსავლები;

- ფედერაციის მიერ მომზადებული და პოლიგრაფიულ საწარმოებში გამოცემული ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებით მიღებული შემოსავალი;

- სარეკლამო, ფოტოგრაფიული, ვიდეო-აუდიო გამოცემათა შემოსავალი;
- სპონსორ-დონორთა ფულადი დახმარებები;
- სპორტული ბაზების იჯარით მიღებული თანხები;
- ფედერაციასთან არსებული საწარმოთა მოგების ფონდის ანარიცხები;

საკუთარი ატრიბუტიკის, საფოსტო სპეციალური სერიების მარკების რეალიზაციიდან, სარეკლამო, საქველმოქმედო ღონისძიებების შემოსავალი;

- სარეკლამო სააგიტაციო ღონისძიებები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების

ნებაყოფლობითი შემოწირულობებიდან, დამხმარე სახის კომერციული და სამეურნეო-სამეწარმეო, საგამომცემლო და სხვა კანონით ნებადართული საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

16.3. ფედერაციის ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რომელიც წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

16.4. ფედერაციას შეუძლია თავისი შემოსავლებიდან შექმნას სხვადასხვა სახის ფონდები;

16.5. ფედერაციაში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხდება დადგენილი ხელფასის განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების საფუძველზე. მუშაკთა სამსახურებრივი დატვირთვა განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით და ფედერაციის შინაგანაწესით.

16.6. ფედერაციის საფინანსო განყოფილებამ ფისკალური წლის ბოლოს (ემთხვევა კალენდარულ წელს) უნდა წარმოადგინოს ფედერაციის ხარჯთაღრიცხვა აღმასკომის წინაშე.

17. აუდიტი

17.1. ფედერაციის მიერ განხორციელებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმებას წელიწადში ერთხელ ახორციელებს აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელიც შემოწმების შედეგებს რეაგირებისათვის წარუდგენს აღმასკომს (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობას) და უახლოეს პერიოდში მოწვეულ კავშირის ფედერაციის ყრილობას (იგივე უმაღლესი მმართველის ორგანო – ფედერაციის წევრთა კრებას).

17.2. აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) გადაწყვეტილებით ან ფედერაციის წევრთა 1/5-ის მოთხოვნით, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის არაგეგმიური აუდიტორული შემოწმება.

18. ფედერაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

18.1. ფედერაციის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18.2. ფედერაციის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მიზნის მიღწევის, გაკოტრების, რეგისტრაციის გაუქმების ან წევრთა კრების (ყრილობის) გადაწყვეტილებების საფუძველზე, ანდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

18.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოისახოს ფულად ერთეულებში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გადაეცეს იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე არაკომერციულ ორგანიზაციას.

18.4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ პრესაში. ქონება შეიძლება განაწილდეს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.

18.5. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა (იგივე აღმასრულებელი ორგანო). განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს შეუძლია სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა.

19. დავის გადაწყვეტის წესი

19.1 ფედერაციის საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლო წესით გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან დავის არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტის შესახებ.

20. გარდამავალი დებულებები

20.1. ძიუდოს ფედერაციის 1997 წლის 14 აგვისტოს დამტკიცებული წესდებით განსაზღვრული ორგანოს – ყრილობის (იგივე წევრთა კრების) კომპეტენცია შეესაბამება ფედერაციის ყრილობისათვის ამ წესდებით დადგენილ კომპეტენციას.

20.2. 1997 წლის 14 აგვისტოს წესდების საფუძველზე არჩეული ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, აღმასკომის (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) და გენერალური მდივნის თანამდებობრივი უფლებამოსილება გრძელდება ვადის ამოწურვამდე.

დამფუძნებლები

1. ფირუზ მარტყოფლიშვილი

2. შოთა ხაბარელი

3. ოთარ ნათელაშვილი

4. თამაზ ჩხარტიშვილი

5. ბიძინა მაზიაშვილი

აღმასკომის – (იგივე აღმასრულებელი ორგანო – გამგეობის) წევრები

1. გიორგი ალექსიძე

2. შოთა ხაბარელი

3. დავით ხახალაიშვილი

- | | |
|-----------------------|-------|
| 4. სოსო ლიპარტელიანი | _____ |
| 5. თამაზ ნაგერიანი | _____ |
| 6. ვლადიმერ ნუცუბიძე | _____ |
| 7. გიორგი ასანიძე | _____ |
| 8. დავით ნამგალაური | _____ |
| 9. დავით გობეჯიშვილი | _____ |
| 10. მერაბ ჩიქობავა | _____ |
| 11. თამაზ ცოფურაშვილი | _____ |
| 12. გიორგი უდესიანი | _____ |
| 13. ელდარ ვარშალომიძე | _____ |
| 14. გივი ონაშვილი | _____ |
| 15. გურამ პაპიტაშვილი | _____ |